

## ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი

1. დენგე

2017, ივლისი №7, ტომი 21

### დენგე

დენგე არის ინფექცია, რომლის გადამტანია კოლო. გვხვდება მსოფლიოს ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში. ბოლო წლებში, ურბანულ და ნახევრად ურბანულ რაიონებში მისმა გავრცელებამ განსაკუთრებით იმატა, რაც საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

ბოლო ათწლეულებში დენგეს ინციდენტობა მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა. 2,5 მილიარდამდე ადამიანი მსოფლიოს (მოსახლეობის 40%-მდე) იმყოფება დენგეს ვირუსით დაავადების რისკის ქვეშ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, მსოფლიო მასშტაბით, ყოველწლიურად, შესაძლებელია დენგეს ვირუსით დაავადების 50–100 მილიონამდე შემთხვევა დაფიქსირდეს. იგი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ჯანმრთელობისათვის გლობალური საფრთხის შემცველ დაავადებად არის კლასიფიცირებული.

დაავადება მწვავე ცხელებით იწყება (ტემპერატურა 41°C-მდე), რომელიც 5-7 დღეს გრძელდება. აღინიშნება საერთო სისუსტე, პაციენტს უჭირს სიარული და მუხლის სახსრის მოხრა. აქვს გულისრევა და პირღებინება. ეწყება მაკულოპაპულოზური გამონაყარი, რომელიც 2-3 დღე გრძელდება. შეიძლება აღინიშნოს სისხლდენა ღრძილებიდან ან კუჭიდან. ავადობის მე-3 მე-4 დღეს ტემპერატურა ნორმას უბრუნდება, გამონაყარი ცხრება და იქერცლება. 1-4 დღის შემდეგ ცხელება შეიძლება განახლდეს, თუმცა ნაკლებად მწვავედ. პერიფერიულ სისხლში აღინიშნება ცვლილებები. ჰემორაგიული ფორმა შეიძლება გამოიხატოს სისხლდენით ცხვირიდან, ნაწლავებიდან, სისხლიანი პირღებინებით. მკურნალობისას ლეტალობა 3%-ს შეადგენს, მკურნალობის გარეშე –50%-ს.

## დენგეს ცხელებაზე საექსპო შემთხვევის აღწერა და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები

პაციენტი: 26 წლის, ბოლნისის რაიონიდან, ავად იყო დაახლოებით ერთი კვირა. აღნიშნებოდა ცხელება. ლაბორატორიული ტესტირებით სისხლში აღმოაჩნდა დენგეს ცხელების საწინააღმდეგო M კლასის იმუნოგლობულინი. G კლასი - უარყოფითია. რაც გვაფიქრებინებს, რომ არის ახალი შემთხვევა. დაავადება გადაეცემა ავადმყოფიდან კოლოების (*Aedes aegypti* და *Aedes albopictus*) საშუალებით. ინკუბაციური პერიოდია 3-15 დღე. სავარაუდოა დაინფიცირება მოხდა 26.06-დან 3. 07-მდე.

ოჯახის წევრისა და პაციენტის მიერ აღინიშნა რომ ბოლო, რამდენიმე თვეა ქვეყნის საზღვარი არ გადაუკვეთავთ. მისივე განმარტებით დაახლოებით 2 კვირის წინ იმყოფებოდა, ქვემო ფონიჭალაში დაშლილი ავტონაწილების ბაზრობაზე, სადაც მუშაობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები (კერძოდ, ინდოელები).

დენგეს ცხელების სავარაუდო შემთხვევასთან დაკავშირებით:

1. დესჯე ცენტრის ენტომოლოგები იმყოფებოდნენ ფონიჭალაში, დაშლილი ავტონაწილების ბაზრობაზე. გამოჭერილია კოლოები და მიმდინარეობს მათი სახეობრივი იდენტიფიკაცია.
2. ბაზრობაზე ასევე იმყოფებოდა თბილისის სჯდ ცენტრის მთაწმინდის რაიონის ეპიდემიოლოგი. ორივე ჯგუფის მიერ დათვალიერდა ტეროტორია. ავტონაწილების ბაზრობის გვერდით არის საბურავების საწყობი-მაღაზია. როგორც ავტონაწილების, ასევე საბურავების ბაზრობის წარმომადგენლები გაფრთხილებულნი არიან სადებინსექციო სამუშაოების შესაძლო ჩატარების თაობაზე.

2. ამავე შემთხვევასთან დაკავშირებით, ბოლნისის სჯდ ცენტრი იმყოფებოდა პაციენტის საცხოვრებელ დაბა თამარისში (ცურტავი). პაციენტის სახლის გარშემო, 400 მ. რადიუსში აღიწერა მოსახლების საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობები, „სოლფაკით“ დასამუშავებლად.

მათი ინფორმაციით, პაციენტი უკვე იმყოფებოდა ბინაზე და თავს კარგად გრძნობდა. კერაზე ეპიდმეთვალყურეობაში ჩაერთნენ სოფლის (ოჯახის) ექიმი და ექთანი. დამატებით გაირკვა, რომ პაციენტს, პერიოდულად თბილისში, ე.წ. ნავთლულის ბაზარში საღამოობით ჩამოაქვს კარტოფილი, აბარებს და იმავე დღით, ან დილით ბრუნდება სოფელში. რის გამოც დაიწყო ნავთლულის ბაზარში ბოლო ორი კვირის განმავლობაში ინფიცირებული პაციენტის ვიზიტების, თარიღების დაზუსტება.

სამივლინებო პერიოდში, გრაფიკის შესაბამისად, გამოკვლეულ იქნა ქ. ბოლნისი და 10 სოფელი ამ მუნიციპალიტეტში: დაბა თამარისი, ცურტავი, თაშთიქულარი, ტალავერი, სოფელი ბოლნისი, კაზრეთი, ხიდისყური, წყნეთი, ჭაპალა, ნახიდური.

ზოოენტომოლოგიური ჯგუფი მუშაობდა ღამის სინათლის ხაფანგებით და კოლოს პოპულაციებზე მონიტორინგი შესაბამისად მიმდინარეობდა შებინდებიდან დილამდე. 28 ივლისიდან მონიტორინგი ტარდებოდა დღის განმავლობაშიც, (ეს გადაწვეტილება მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც ჩვენს ავტომანქანაში შემოფრენილი კოლოს ფოტოს მიხედვით ის იდენტიფიცირდა როგორც *Ae. Aegypti*). დღის მონიტორინგში ჩვენ შევეცადეთ ჩაგვენაცვლებინა მშრალი ყინული საფუარისა და ხორბლის ფქვილის თხიერი ცომით, რომ მიგველო  $CO_2$ -ის ეფექტი. მეთოდმა იმუშავა მეტნაკლები ეფექტურობით და შესაბამისად მოპოვებულია ენტომოლოგიური მასალაც. მასალის იდენტიფიკაცია დასრულდა ლუგარის ზოოენტომოლოგიურ ლაბორატორიაში. სულ გამოკვლეულია 1419 კოლო: 637 ეგზ. *An. maculipennis*; 703 ეგზ. *Cx. p. pipiens*; 42 ეგზ. *An. claviger*; 18 ეგზ. *Ae. caspius*; 5 ეგზ. *An. plumbeus*; 14 ეგზ. *An. pulcherrinus* და ერთი გამოუჭერელი *Ae. aegypti*. *An. pulcherrinus* აქამდე საქართველოში არ არის აღწერილი, თუმცა მისი არეალი არის ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთითაც (რუსეთი) და სამხრეთით (თურქეთი). რაც შეეხება *Ae. aegypti*-ს ის ენდემურია, გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ მისი პოპულაციები, იმდენად მცირერიცხოვანია რომ ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა არ აქვს.

რაც შეეხება *Ae. albopictus* ბოლნისის მუნიციპალიტეტში ის არ არის გავრცელებული, სავარაუდოდ უნდა შეტანილიყო მეორადი საბურავებით. ყველა საწყობი (მცირე ზომის საწყობები მეორადი საბურავებით) შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ, და არცერთ მათგანში არ იქნა აღმოჩენილი არც ნაჩეკი და არც იმაგო.

**განმეორებითი ანალიზის შედეგად დენგეს ცხელება არ დადასტურდა !**

მასალა ბიულეტენისთვის მოამზადა დკსჯაც ნოზოკომიური, აღმოცენებადი, წყლით და საკვებით გადაცემადი დაავადებების და პარაზიტოლოგიის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა: მერაბ იოსავამ

*ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი“ წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პუბლიკაციას.*

*ბიულეტენში გამოქვეყნებული მონაცემები ემყარება დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელთ არსებულ მასალებს. გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ბიულეტენში მასალის გამოქვეყნების ჩათვლით, მიმართეთ „ეპიდემიოლოგიური ბიულეტენის“ რედაქციას მისამართზე: თბილისი, ასათიანის 9, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. „ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი“ წარმოადგენს საზოგადოებრივ საკუთრებას. გამოყენებული მასალებით სარგებლობისა და მათი რეპროდუქციისთვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის, მაგრამ სასურველია მონაცემების წყაროს მოხსენიება.*

.....

**სარედაქციო კოლეგია:**

- ი. ზედგენიძე - მენეჯერ-რედაქტორი
- გ. კაციტაძე - რედაქტორი
- პ. იმნაძე

დ. სტურუა  
ხ. ზახაშვილი  
შ. ცანავა  
მ. ცინცაძე

## Epidemiology Bulletin

**National Center for Disease  
Control and Public Health**

**MINISTRY OF LABOUR, HEALTH  
AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA**

2017/Vol.21 N7